აჭარის
ხალხური მთქმელები

სახელმწიფო გამომცემლობა
ბათუმი — 1956

გამომცემლობისაგან

სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში ჯერ არნახული მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული ცხოვრების პირობები შექმნა. ფერი იცვალა ჩვენმა ქალაქმა, სოფელმა. თანდათანობით ქრება განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის. მრავალი სოფელი ქალაქივით კეთილმოწყობილია. საშუალო სკოლა და ტექნიკუმი, კინოთეატრი, კლუბი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ელექტროსადგური უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ახალ, საკოლმეურნეო სოფელში.

ხალხის ამ კეთილდღეობას არ შეიძლებოდა გამოხატულება არ ეპოვა ხალხურ შემოქმედებაში: საბჭოთა მუსიკისა და დიდი ლიტერატურის მხარდამხარ ვითარდება ხალხური მუსიკა და პოეზია — სიმღერა და ლექსი. მადლიერი, ბედ-

ნიერი ხალხი უმღერის გმირ კომუნისტურ პარ-
ტიას, აყვავებულ სამშობლოს, საკოლმეურნეო
წყობილებას, საამურ ცხოვრებას. ხალხური შე-
მოქმედების დათვალიერება, რაც სისტემატურად
იმართება, უხვად ავლინებს ახალ-ახალ ტალან-
ტებს, ხალხური შემოქმედების ახალ ნიმუშებს —
ლექსებს, სიმღერებს, ცეკვებს.

ისე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, აჭარაშიც
ფართოდ ვითარდება ხალხური შემოქმედება. ბე-
დნიერ ცხოვრებას უმღერიან ჩვენი მუშები, კოლ-
მეურნეები და სოფლის ინტელიგენცია — განათ-
ლების ფრონტისა თუ მედიცინის დარგის მუშა-
კები. ბევრი ამ მთქმელთაგანი წერა-კითხვის მცი-
რემცოდნე, ხანდაზმული კოლმეურნეა, ზოგიც
საკმაოდ განათლებული კვალიფიციური მუშაკი,
მაგრამ პროფესიული მწერალი არაა და არც ამის
პრეტენზიას აცხადებს.

წინამდებარე კრებულში მოთავსებული ლექსე-
ბი არც ფოლკლორად ჩაითვლება, მათი ავტორე-
ბი ცნობილია, მცირეოდენი გამონაკლისის გარ-

და, ყველა ლექსი მათ მიერვეა დაწერილი; თუმცა უმრავლესობას ლიტერატურული დახმარება გაეწია (ლექსის შემოკლება, ძნელადგასაგები კუთხური სიტყვების შეცვლა, ენობრივად დახვეწა და სხვ.), მაგრამ ლექსებში მთლიანად შენარჩუნებულია მთქმელის იდეა, ზომა, რითმა, რიტმი, მხატვრული სახეები და სხვ.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ ლექსთა კრებულის დაბეჭდვა კიდევ უფრო წაახალისებს ჩვენს მთქმელებს, სტიმულს მისცემს მათ უფრო მეტი მონდომებით ასახონ ჩვენი საამური ცხოვრება, ჩვენი სოფლისა და ქალაქის მშრომელთა წარმატებანი, შენიშნონ და გააკრიტიკონ ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი, რომლებსაც ისინი უკეთ ამჩნევენ, როგორც შრომის უშუალო მონაწილენი.

სახელმწიფო გამომცემლობას განზრახული აქვს მომავალ წელს გამოსცეს ასეთივე ხასიათის კრებული — „აჭარის ხალხური კომპოზიტორები.“ ამიტომ სასურველია წინამდებარე წიგნს

გამოეხმაურონ დაინტერესებული, გამოცდილი და მცოდნე ამხანაგები, მოგვცენ საქმიანი შენიშვნები, მიგვითითონ ნაკლოვანებებზე, რაც გათვალისწინებული და გამოყენებული იქნება განზრახული ნაშრომის გამოცემისას.

თოფია ქათამაძე

ლენინის ხსოვნას

მახსოვს, დაჰქროლა ნიავმა
და მოიტანა ამბავი:
მზემ აიკრიფა ყხივები,
დაგვხურა ღრუბლის საბანი,

გარდაიცვალა ლენინი,
ცრემლით მოირწყო მთა-ბარი.
მდინარემ დენა შეწყვიტა,
შეწყდა კლდეებში ზანზარი,
ბუნებაც მიხვდა — აღარ გვყავს
ოქტომბრის მთავარსარდალი.

მაგრამ, ლენინო, შენი ხმა,
შენი ძლიერი სახელი,
მუდამ იქნება მონათა
მძიმე ბორკილის ამხსნელი.

შენი სახელი და შენი
გამოჭედილი პარტია
ხალხებს წაიყვანს იქითკენ,
სადაც სიცოცხლე ანთია.

პირველი მაისი

მაისის დილა გვესტუმრა,
ღიმილი ატმის ფეროსი,
უცინის გლეხის ნაშრომსა
ამყვავებელი მდელოსი.

შარბათიანი ცვარ-ნამი
გადაფენია ბალახებს,
მაისის დილის ზეიმი
გლეხის მარჯვენას ალაღებს.

წლის მეხუთე თვე იწყება,
მოსავლის ფუძემდებელი,
ყვავილთა თბილი ნათელით
ყანების მაშუქებელი.

ზეიმობს პირველ მაისებს
ქვეყნად დიდიც და პატარაც,
ყველგან, მსოფლიოს მშრომელებს
ერთობა მან შეაყვარა.

საკოლმეურნეო სიმღერა

ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი
ჩვენს მშრომელ ხალხს აუგია,
ერთმანეთი ჰყვარებია,
ერთმანეთის გაუგია.

კოლექტივი დავაარსეთ,
ძმობა და სიყვარულია,
ჩემი მიწა დიდი არის,
იგი ჩვენი მამულია.

კოლხეთშიც და ყუბანშიაც
ყანა ჩვენი დახნულია,
მოსავალი ზიარია
და ჩვენი ჭირნახულია.

პაპაჩემის ნატვრის ჩარხი
წალმა დაბრუნებულია,
ხალხი, შრომით წინ მავალი,
გაბედნიერებულია.

საჭვიალო

ქვეყნად ვეძებდი საყვარელს,
მთლად მოვიარე ხმელეთი,
არ შევუშინდი არაფერს,
გავხიე ქარიც, ბნელეთიც.

ბოლოს შორიდან ვიხილე
ჩემი ნატრული იმედი,
მისი ღიმილი ვიხილე
და მორიდებით მივედი.

ვუთხარი:
— ალბათ შენა ხარ
ვარსკვლავი, ჩემო ტრფიალო.
ვუთხარი:
— მინდა მიწაზე
სულ შენთან ერთად ვიარო.
ლამაზო, გიშრისთმიანო,
ბულბულო ღიმილიანო.

ამბავი დაქორწინებული ვაჟისა

ოცი წლის რომ შევიქენი,
დავაპირე ცოლის თხოვა,
დედაც სულ მეხვეწებოდა —
დაქორწილდი, შვილო, დროა.
გამოვძებნით ისეთ სარძლოს,
რომ არ ჯობდეს ქვეყნად ქალი...
და ამ საქმის გასაჩარხად
დატრიალდა მაჭანკალი.

ერთ დღეს ასე მომახარა:
ქალი ვნახე, რა ქალიო,
პირად ვარდი, ტანად სარო,
მზის და მთვარის ბადალიო.
თვალს მოგტაცებს წვრილი წელი,
მართლაც ლერწმის სადარიო,
ხმას არ იტყვი? ბულბულს ჯობნის,
პირს ადნება შაქარიო.

ერთი სიტყვით, ისე მიქო,
დამახვია თავსა რეტი,
ვთქვი, მანახა ამ წუთშივე
და გამაძღო მისი ჭვრეტით.

ვუთხარ — ბარემ მიმიყვანე,
ჩემს საბედოს შემახვედრე.
მოიცაო, დამამშვიდა,
არ გამოვა საქმე ეგრე.

სად წაგივა, სიტყვა მომცეს.
დავითანხმე დედაც, მამაც —
ჯერ ქორწილი მოვამზადოთ
და მოგისვამ გვერდით ლამაზს.

ჰა, ქორწილიც. რეკავს დოლი,
ეკიდება ცეცხლი ჭიმონს.
უნდა მალე სუფრის თავში
პატარძალთან გამომჭიმონ.

გული ისე, მიფართქალებს,
ვით ბადეში ორაგული.
ჭიშკარს მოდგნენ ცხენოსნები,
ძლივს მიჭირავს კბილით სული.

მოიყვანეს პატარძალი,
აფარია პირზე ბლონდი.
ქორწილს ბოლო აღარ უჩანს,
ვეღარ ვიტან ამდენ ლოდინს.

როგორც იქნა დავრჩით მარტო.
მე რომ ვნახე — თქვენი მტერი!
ელამი და კოჭლაბუხა,
ნახშირს უგავს სახის ფერი.

ვაი-მეთქი დავიძახე,
დამეფარა თვალზე ბინდი.
მაჭანკალმა დამაქცია,
მის ოინებს გვიან მივხვდი.

საოცნებო ქალის ნაცვლად
ხელში შემრჩა მუგუზალი...
და იმ დღიდან სამუდამოდ
შევიძულე მაჭანკალი.

ილია თალაკვაძე

სამშობლო გვეძახის

გემშვიდობები, გასულო წელო —
მშვიდობიანად განვლილო წელო,
შენ ააყვავე ჩემი სამშობლოს
მთაა თუ ბარი, ველი თუ მდელო.

რამდენი ვაზი დავრგით ახალი,
რა ყამირები წელს ავითვისეთ,
ვგზავნეთ და ვგზავნეთ ეშელონები
ჩვენი საბჭოთა ყაზახეთისკენ.

ჩემი საყვირიც გმირებს მოუხმობს:
ყამირ მიწებზეც დავთესოთ პური,
რომ იქაც გვექნეს უხვი მარაგი,
ცხოვრება ტკბილი და საამური.

და ჩვენ შევძელით პურის მოყვანა,
სადაც სიზმარშიც ვერ ნახეს ძველად,
ყანად ვაქციეთ მიწა ყამირი
მთელი მსოფლიოს გასაკვირველად.

რა ბევრი ჩნდება ზღვა და მდინარე,
რა სასწაული იხილა თვალმა:
გვალვა დამარცხდა და ყაზახეთში
გამოაცოცხლა უდაბნო წყალმა.

გამოიღვიძა ყველა სულდგმულმა,
იქ ყოფნას ვინ არ დაიკვეხნიდა.
სალამს მითვლის და მეპატიჟება
ახლა ბულბული ყაზახეთიდან.

ნეტავ შემეძლოს მოხუცს მანდ მოსვლა,
რომ ვინახულო ალტაის მხარე,
გულში ჩავიკრა პურის ყანები,
მწვანე მიდამო და არემარე.

არა. წამოვალ, ახალგაზრდებო,
მეც მერგოს წილად
თქვენს გვერდით შრომა.
სამოცი წლის ვარ და მაინც ვამბობ:
ახლად წარმომშვა ახალმა დრომა.

მშვიდობა გვინდა •

თუ ზღვაში მყოფი სამხედრო გემი
ტყვიას არ ესვრის თვითმფრინავს ცაზე
და თვითმფრინავი ცეცხლმოდებული
აღარ ვარდება ზღვაში, მიწაზე,

თუ თვითმფრინავი ზეციდან ზღვაში
გემს არას ერჩის, არ ესვრის ტყვიას, —
მაშინ მშვიდობა დამდგარა ქვეყნად,
ამ გამარჯვებას მშვიდობა ქვია.

შაშხანის ტყვია თუ არ ზუზუნებს
და ზარბაზანი არ ანგრევს ქალაქს, —
დე, ჟანგმა ჭამოს ერთიც, მეორეც,
მშვიდობა იჭერს ორივეს ალაგს.

თუ მებრძოლები დაბრუნდნენ სახლში,
გაჩაღდა შრომა ბარაქიანი,
ეს მშვიდობაა, ხალხთა მშვიდობა,
ხალხთა მიზანი მარადმზიანი!

მშვიდობა ქარგავს ყველგან მთა და ველს,
მშვიდობაშია სიცოცხლე, შველა,
მშვიდობა უნდა ჩინელს, კორეელს,
ჩემ ქვეყანაშიც მას ეტრფის ყველა.

დაე, აყვავდეს ხალხთა იმედი,
დაე, განმტკიცდეს მშვიდობა, ძმობა!
პირი შევკრათ და მტერს ასე ვუთხრათ:
— არ გვინდა ომი!
— გვინდა მშვიდობა!

ჩინელ სვუმრებს

მოდით, ძმებო, გვინახულეთ,
ღია არის თქვენთვის კარი,
არას დროს არ ჩაიკეტოს
ჩინეთ-საბჭოთა საზღვარი.

ლენინი ხომ მოძმე ჩინეთს
სულ უწვდიდა ძმურად ხელსა.
ვერ ითმენდა ჩინელ ხალხის
მონობას და სატანჯველსა.

ის ხედავდა, რომ ჩინელ ხალხს
აგრესორი სისხლს ართმევდა
და უტიფრად ჩინელისგან
მის ნაოფლარს იტაცებდა.

მაო ძე-დუნი მოვიდა,
ხელში აიღო სარდლობა,
მას გაჰყვა მთელი ჩინეთი,
ხალხს გაუმართლა მან ნდობა.

განდევნა მუქთახორები
ჩინეთის მიწა-წყალიდან
და შეაჩერა ცრემლის ღვრა
ჩინელ მშრომელთა თვალიდან

სიმართლემ ჰპოვა თავის გზა,
ნანატრი დილა გათენდა.
წყევლა და რისხვა ხალხისა
მტარვალს დაატყდა თავზედა.

ჩინეთ-საბჭოთა დროშები
იბრწყინებს ქვეყანაზედა,
ომს დაამარცხებს მშვიდობა,
მერწმუნეთ ამის თქმაზედა.

ინდოეთს

როგორც ლენინი გვიკარნახებდა,
მეც ისე შენსკენ მეჭირა თვალი,
რომ ინდოელი ხალხი ტანჯული
მენახა ჩემებრ თავისუფალი.

ვინ არ გტანჯავდა მწარე წარსულში,
უწყლო უდაბნოს გაძლევდნენ ბინად,
მშიერ-მწყურვალეს და ჩონჩხად ქცეულს
ნადირობასაც გიშლიდნენ წინათ.

შენი ნაშრომი მტარვალს მიჰქონდა,
ნადავლით ურცხვად მტერი ძღებოდა,
შენ კი გტოვებდნენ ღვთის ანაბარად
და ლუკმაპური გენატრებოდა.

ერთ დღეში ვიყავთ დიდხანს მე და შენ,
მეც შენებრ მტარვალს ვემონებოდი,
ჩემ ნაშრომს შორით ვუცქერდი — მონა,
უცეცხლო ცეცხლით ვიდაგებოდი.

სად იყო შველა და დახმარება,
სად გვქონდა ძმობა და ან კავშირი —
მტერს ერთი ძალით გავმკლავებოდით,
გაგვეყო ლხინი და გასაჭირი.

ბოლოს ლენინმა მომისწრო ბედშავს,
წითელი დროშა აღმართა კარზე,
შენთანც მოჰქონდა ის დროშა, მაგრამ
გზა გადაუჭრეს მებრძოლს საზღვარზე.

დღეს მზის სინათლე შენც მოიპოვე,
უამრავ სისხლის და ცრემლის ფასად,
დღეს მტარვალს არ აქვს ძალა და ღონე,
რომ დაგიმონოს წარსულის მსგავსად.

მოდი ვიმოყვროთ და ვიმეზობლოთ,
რომ აწი მტერმა ვერ დაგვიმონოს,
რომ ინდოელ ხალხს, მშრომელს, ნიჭიერს,
თავს ვერ დაესხას და ვერ ეომოს.

შემოდგომა აჭარაში

შემოდგომა კარზე არის,
შეჭაღარდა ტყე და მთები.
ციტრუსები ყვითლად მოჩანს,
ვეღარ ფარავს მას ფოთლები.

ჩუ, ნიავი საეჭვოდ ქრის,
დაინისლა თითქოს მთები,
ზეცა თოვლით იმუქრება,
შეგვიშინა ციტრუსები.

გადმომდგარა ფორთოხალი,
ხელს მიქნევს და მეხვეწება:
— არ დამტოვო ზამთრად გარეთ,
სუსტი ვარ და შემცივდება!

— ვინ დაგტოვებს, ვეუბნები,
ქარს და წვიმას რას უყურებ,
მოგკრეფ, მიგცემ ქარხანაში
და რუსეთში გაგისტუმრებ.

აგრონომიც შენზე ზრუნავს,
ებრძვის ყინვას მოძალადეს,
ყინვაგამძლე ჯიშებს ქმნიან,
მიაკვლიეს, გამოსცადეს,

და იცოცხლებს ციტრუსები
განა მარტო აჭარაში,
რომ მშრომელებს დაუმშვენოს
სუფრა ჩვენს გმირ ქვეყანაში.

მჯირალას მთაზე

მეც მოვესწარი ამ მთაზე ასვლას,
როს მისრულდება სამოცი წელი.
მთავ, ვერ გიცნობდი, დღეს გაგიცანი,
მომანდე გული, მომეცი ხელი.

მეც მინდა ვიყო შენთან შრომაში,
მსურს დავამშვენო შენი ქედები,
რომ შენ განკურნო ხალხი მშრომელი
შენი ჰაერის ზემოქმედებით.

შენთან მოსულა შრომის ლაშქარი,
ბარით და ნიჩბით მოვსულვართ ყველა,
ასეულ წლობით დადუმებული
დღეს სიხალისემ აგამეტყველა.

მალე — დაკიდულ, ვიწრო ბილიკებს
შარაგზები და ასფალტი შეცვლის,
აჭიკჭიკდება რადიო სვეტზე
და გაჩაღდება ელექტროცეცხლი.

მტირალა მთაო! გეყოს ტირილი,
იყავ შვებაში და სიხარულში.
შენ ხალხმა მოგცა ეს სიხარული
და შენც ჩადექი მის სამსახურში!

ბახვისწყალი

ზოტის მთიდან წამოსული,
როგორც მგზავრი წესიერი,
ბახმაროში ღამეს ათევ,
თავდალმართში მოიმღერი.

ფაფარაზე შენდა საზრდოდ
ინახება თოვლი ბევრი,
ძველი თოვლი ახალს ხვდება,
რომ დადგება ნოემბერი.

ზვირთავარდნილ ნაკადულებს
უხვად გაწვდის ჩვენი მთები
და თუ წვიმაც დაგემატა,
მაშინ ხომ მთლად გაგიჟდები.

ნაგომართან დედასავით
გელოდება სუფსის წყალი,
უერთდები და ბოლომდე
ხარ ჩუმ-ჩუმად მიმავალი.

ის დედაა, შენ შვილი ხარ,
მაგრამ ჩხუბი მაინც მოგდის,
კობრი სუფსის წყალში რჩება,
კალმახი კი შენსკენ მორბის.

რაც არ უნდა გადირიო,
გადალეკო გზა და ტივი.
მაინც დაგიმორჩილებენ, —
ძლიერია კოლექტივი.

ᲭᲧᲔ ᲮᲐᲠᲮᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘᲐ

რისთვის უღერ, ბიჭო, ნაჯახს
ამ ბუნების დიდ ქმნილებას,
დღეს რომ ტყეი გადაჩეხო,
შენ ვინ მოგცემს ამის ნებას!

ტყეა ქვეყნის სილამაზე,
ტყეა ჩვენი მეგობარი,
ცვარდაფრქვეულ ფოთლის შრიალს
ლხენით ისმენს მთა და ბარი.

დღეს რომ ყველა ტყეს აშენებს,
შენ არ გესმის, არ უყურებ?
რად შესულხარ ტყეში ჩუმად,
ნაძვებს ჭრი და ანადგურებ?

წარსულში ტყის დარგვისათვის
თავს არავინ იწუხებდა.
რასაც ერთი კაცი რგავდა,
მეორე ანადგურებდა.

მე გირჩევ, როგორც მეგობარს,
გაუფრთხილდი, ნუ ჭრი ხესა.
შენც გახდი ტყის მეგობარი,
აუკრძალე მოჭრა სხვებსაც.

ვაშალომიძის გმირობა

ორ მთას შუა გაწოლილი
მოჩხრიალებს ბახვისწყალი,
მარცხნივ მთაა აღმართული,
მას ვერ წვდება კაცის თვალი.

მარჯვნივ მოჩანს ძველი ციხე,
ის გაღმა მთას უტოლდება,
შეხედავ და დასტურ გული
სიყვარულით გაგითბება.

ციხე თამარს აუგია,
მტკიცე კედლით და იერით...
ამ ციხეში თურმე ერთხელ
შეფარულა გურიელი.

მისი ბედი ბეწვს ეკიდა,
გარს ეხვია თურქის ჯარი,
მას ლომიძე მიეშველა,
ციხის უკან ნახა კარი.

საიდუმლო შესასვლელით
და ბილიკით, გნება-გნებით
მან უჩუმრად გაიარა
ძველისძველი გვირაბები.

უკანიდან შეუტია
გადამთიელ მოძალადეს,
თურქ მეთაურს თავი მოსჭრეს,
ბახვისწყალში გადააგდეს.

აიშალნენ' ურდოები
და გაიქცა თურქთა ჯარი,
ოხრად დარჩათ ულაყები,
იარაღი და აბჯარი.

ამ ბრძოლაში უამრავი
გამოიწრთო ქართველთ გმირი,
ვინც სამშობლოს სახელისთვის
ზიდა ყველა გასაჭირი.

იმ სისხლისმღვრელ ომიდანა
წამოვიდა ამბად ესა:
ბევრი მტერი დაუხოცავს
გმირ მეომარ ლომიძესა.

მას შესძახეს თურმე: „ვაშა,“
„ვაშა, გმირო სასახელო!“
შემდეგ ვაშალომიძესაც
იცნობს მთელი საქართველო.

მამია თანდილავა

ჩემი სოფელი

მზემ სხივები მომანათა,
გული ტკბილად ამიძგერა.
ჩემი სოფლის სიწარმტაცემ
ამანთო და ამამღერა.

სარფში ფართო გზები გაჰყავთ
კომუნიზმში შესასვლელი.
მიყრუებულ ადგილებშიც
ელნათურმა მოსპო ბნელი.

ახალ სახლებს აშენებენ,
ამეტყველდა ქვა და ლოდიც,
ის ნანატრი დრო დაგვიდგა,
დიდი ხნიდან რომ ველოდით.

სპრეი

შავი ზღვის პირას მოჩანს შუქურა,
ირგვლივ კაშკაში გააქვთ ნათურებს
და ჩაბნელებულ წყალგალმა სოფელს
გაბრწყინებული ლაღად გაჰყურებს.

ჩვენ გზას გვინათებს მშვიდობის დროშა,
როგორც დილის მზე ამომავალი,
ჩვენს მინდორ-ველზე, ყანაში, ბაღში
ხალისით შრომობს კაცი და ქალი.

წყალგალმა მიწაც ქართული არის,
გალმა-გამოღმა სახლობს ქართველი,
გალმელის გული სავსეა ჯავრით,
მას ენატრება დილის ნათელი.

ხმა ნაღვლიანი, გულის დამწველი
მოისმის, როცა ღამეა წყნარი.
ყური დაუგდე, თავ-ბედს რომ წყევლის,
ის ჩვენი მკვიდრი, ღვიძლი ძმა არი.

დადგება დრო და იქაც ინათებს
მზე დიდებულად ამომავალი,
მშვიდობასა და თავისუფლებას
ვერასდროს მოსპობს მტერი-მტარვალი.

შრომის გმირი

მწვანე ბუჩქებში, ანკარა წყალთან
ჩაის მკრეფავი ვნახე გოგონა,
ახალამოსულ მნათობელს გავდა —
მე თოთხმეტი დღის მთვარე მეგონა.

'მსურდა გამეცნო ტურფა ასული,
მიდი, მიდიო—გულმაც მაუწყა.
მივედი, მაგრამ იმისმა ეშხმა
მე გამარჯობის თქმაც დამავიწყა.

ამხანაგს ვკითხე: — ვინ არის ისა?
მითხრა: — ის ჩვენი შრომის გმირია.
რა, მოგეწონა? კრემლშიაც მოსწონთ,
შენ რომ მოგწონდეს გასაკვირია?!

* * *

მაღლა სივრცეში მიფრინავს მტრედი,
ფიქრივით უხმოდ მიაპობს ნიავს,
სინათლის მფრქვეველ ციურ მნათობთან
მას ჩემი გულის ფიქრები მიაქვს.

მძინარ ბუნებას დაჰხარის მთვარე,
და ჩემ ქვეყანას შევხარი მეცა.
ოცნებით ყოველ მთვარიან ღამეს
მსურს მოვიარო სამშობლო ზეცა!

ზურაბ გერიძე

მე პარტია მზრდის

მე მზრდის პარტია,
მშობლიური ჩვენი პარტია.
მისი სახელი წარუშლელად
გულს მახატია.

მან ამისრულა, ჩემს წინაპარს
რაც უნატრია, —
ჩემი სიცოცხლე და ოცნება
არის პარტია!

მევენახე გოგონა

ქედაც რარიგ ჰყვავის დღეს,
გული გამიხალისა.
მხიარული ჰანგია
ხმა აჭარისწყალისა.

ვაზის ნედლი რტოები
ნიავს დაურხევია,
ათქვირული ლერწები
ჭიგოს შემოხვევიან.

მევენახე გოგონავ,
ფოთლებს რად ეფარები?
რამდენს დამემალები,
უფრო შემიყვარდები.

გაზაფხულია

გაზაფხულია, მიდამოს
მოუსხამს მწვანე ფარჩები.
მინდვრებში შრომა ზეიმობს,
უსაქმოდ როგორ დარჩები!

ატმებს კოცონად ანთებულს
ცვარმა ტოტები უნამა.
მივიდა, მიუალერსა
გოგონამ თვალჟუჟუნამა.

მთესველი თესავს, თან მღერის
ლაღად მკერდგადაღეღილი:
ამ წელშიც ყანამ იხაროს,
გაშალოს მწვანე ჯეჯილი.

გაზაფხულია, მინდორ-ველს
მოუსხამს მწვანე ფარჩები.
სუყველა მინდვრად გასულა,
უსაქმოდ როგორ დარჩები!

ჩაის ბუჩქებთან გიხილე

ჩაის ბუჩქებთან გიხილე
თვალებმაყვალა გოგონა,
ვიფიქრე — ცის ვარსკვლავია,
თავი სიზმარში მეგონა.

ეშხითაც, სილამაზითაც —
გული დამეწვა ორგვარად.
შენი თვალების ციმციმმა
სულ სხვა სიცოცხლე მომგვარა.

ძლივს გაგიბედე „მიყვარხარ!“
პასუხს ამაოდ ვეძებდი...
ახლა ბარათსაც გიგზავნი:
— ჩემს სახლში მზეებრ შემოდი,
ამაღლდეს ჭერი სახლისა
და გაფართოვდეს კედელი.
ამას გთხოვ, მეტი რა გითხრა,
თავს არ შეგაწყენ ვედრებით.

ზამთრის ღამე

გარეთ ცივა, ზამთარია, ყინავს,
შენს გულში კი მაინც მაისია.
ვიცი, ახლა ჩაფუთნულხარ, გძინავს,
სიზმრად ხედავ თვალუუჟუნა იას.

ნელი სუნთქვა გულისპირს რომ გირხევს —
ეს სიყვარულს ფრთები გაუშლია.
ოცნებაში გხედავ, გიცქერ, გხატავ
და ჩემს გულშიც ახლა მაისია.

ალექსანდრე ანანიძე

მშვიდობის წელი

ცა ნათურებით აციმციმდება,
აელვარდება მთა-ბარი ვრცელი,
ღიმილიანი, ბარაქიანი
კარს შემოაღებს ახალი წელი.

მზის სხივებს იფენს დედაქალაქი,
შრომის, მშვიდობის მარად ერთგული,
ერთა სიცოცხლის, ძმობის ალაგი,
პარტიის სიბრძნით განათებული.

— მშვიდობა!
იტყვის ყველა მშრომელი,
ღიმილი ახლავს ამ სიტყვას მართალს,
კრემლის კოშკები ცად აზიდულან
და ძმობის დროშა ზე აღუმართავთ.

ლხენით აღსავსე ხვდება ახალწელს,
მის მოსვლას ლოცავს ქვეყანა ვრცელი,
ძმობის წელია,
შრომის წელია,
მომილოცნია ახალი წელი!

საბჭოთა აჭარას

ლურჯი ზეგნების ზღვამდე დაფენა,
ლურჯი ზეცა და ლურჯი თაღები,
აყვავებული ასჯერ-ასფერად
ნარინჯ-თურინჯით სავსე ბაღები,

ნარნარი სიოს გამოქროლება,
მთის თხემზე ნისლი შემოფანტული,
უძვირფასესი შენი ქონება —
შოთას ნაჭედი სიტყვა ქართული,

შენი ზურმუხტი მთა და ველები —
ლექსით რამდენჯერ აქეს მგოსნებმა!
მეც სიყვარულით შემოგევლები,
ჩემო აჭარავ, ჩემო ოცნებავ!

ხმას ვაძლევთ

ხმას ვაძლევთ მინდორ-ველებს გაშლილებს
და ყანებს ოქროს თავთუხიანებს,
ხალხის ერთგულებს, მშრომელთა შვილებს,
რჩეულთა რჩეულ ადამიანებს.

ხმას ვაძლევთ ქვეყნის ტურფა ალაგებს,
ხუთი ზღვის არხს და მქუხარე ტალღებს,
ზეცამდე აწვდილ ლამაზ ქალაქებს,
უდაბნოებში გადაშლილ ბაღებს.

ხმას ვაძლევთ ქვეყნის ნათელ განთიადს,
მზიან, საამურ დღეთა დინებას,
მტკიცე, უძლეველ ნაცად პარტიას,
ჩვენს დიდ სამშობლოს და მის დიდებას!

ხმას ვაძლევთ ხალხთა ბედნიერებას,
მშვიდობის, წინსვლის აზრებს მზიანებს,
ხალხის მსახურად და მოამაგედ
ვირჩევთ ღირსეულ ადამიანებს.

ჩადრიან ქალს

ამ გაზაფხულზეც გულის სალხეხად
მე შენთვის ახალ ყვავილებს ველი,
ბუნებამ იცის გრძნობის გახელა
და მთა-ბარს ხატავს ოსტატის ხელით.

შენ, აჭარელო ქართველო ქალო,
ხარ მოქალაქე დიად ქვეყნისა,
გულმართალო და მშრომელო ქალო,
ტკბილი ცხოვრება შენაც გეღირსა,

მაგრამ მაკვირვებს ჩვევა უკადრი —
რად გსურს წყეული ჩადრით იარო?
მზე შენთვის მზეობს,
მოიხსენ ჩადრი,
მზიური ქვეყნის ადამიანო!

მახინჯაური

მახინჯაურის გავსცქერი ბაღებს
და ზღვის სილურჯეს ცათამდე გაშლილს.
მოუსვენარ და აქოჩრილ ტალღებს
ბანს ეუბნება ფოთლების ტაში.

ბაღში ყვავილნი ლაღად გაშლილან,
ხეები ჩემკენ იშვერენ მკლავებს.
გაღიმებული ლურჯთვალა დილა
სხივდაკრულ ცვარში ბაღს ანანავებს.

თვალებს იტაცებს სინაზე ველის,
ზურმუხტის ფერი ზღვისპირს უხდება,
და მზით მოსილი მთელი სოფელი
ქვეყნის დიდებას ესაუბრება.

გინალი ფუტკარაძე

მშვიდობისათვის

ჩვენ გვყავს გმირი და ფხიზელი ჯარი,
მტერს არ დაუთმობს მშობლიურ მიწას.
დგას ჩვენს საზღვრებზე ურყევად, მტკიცედ
და აყვავებულ სამშობლოს იცავს.

თავისუფალი მშრომელები ვართ,
არ გვინდა ომი, გვინდა მშვიდობა,
როგორც ლენინის პარტიას უნდა,
როგორც დიდ ბელადს ლენინს უნდოდა.

მაგრამ თუ მტრებმა ომი გაბედეს,
ჩაგვრა ინდომეს ჩვენი ხალხების,
ჩვენაც ავისხამთ წამსვე იარაღს,
მომხვდურ ყაჩაღებს მედგრად დავხვდებით.

კომუნიზმი გაიმარჯვებს

თუ ვიშრომებთ ერთად ყველა
ფართოდ გაშლილ მინდორ-ველად,
კომუნიზმის გამარჯვებას
მოვესწრებით უეჭველად.

თუ ვიქნებით მხნე და გამრჯე,
ხელს მოვკიდებთ საქმეს მარჯვედ,
თუ დავიღლით შრომით მაჯებს, —
კომუნიზმი გაიმარჯვებს.

თუ დავრაზმავთ მოძმე ხალხებს,
ავიცილებთ ომის საფრთხეს
და ავაგებთ ჰესებს, ქარხნებს, —
კომუნიზმი გაიმარჯვებს.

თუ მშვიდობას ხელს მოვაწერთ,
ცოდნის დროშას მაღლა ავწევთ
და თუ ზუსტად შეკვასრულებთ
დიდ ლენინის დიად ანდერძს, —
კომუნიზმი გაიმარჯვებს.

საქართველო

საქართველოვ, მზის გულივით ნათელო,
ბევრი ტანჯვის და შავ დღეთა მნახველო,
დღეს აყვავდა შენი ბალი და მდელო,
ტკბილო დედავ, გმირი ხალხის აღმზრდელო.

მოიშორე სიდუხჭირე, სიბნელე,
თუმცა ნახე უამრავი სიძნელე,
ბოლოს მაინც გაიმარჯვა სიმართლემ,
ახლა მზე გაქვს და უქრობი სინათლე.

ეს სინათლე ულევი და უხვია,
ხევს აშუქებს, მინდორ-ველზე ელვარებს,
ის ანათებს აყვავებულ ბაღ-ვენახს
და აჭარის მაღალ მთათა მწვერვალებს.

დაე, ეს მზე და სინათლე კვლავ ენთოს,
როგორც ახლა გიზგიზებს და ანთია,
დე, ცოცხლობდეს გმირი ხალხი საბჭოთა
და ამ ხალხის წინამძღოლი პარტია!

ვერა გერეჭიანი

ლენინ

ოხ, რატომ არის წყეულ სიკვდილთან
ასე უძლური ეს მედიცინა,
რომ ვერ შეიძლო დიდი ლენინი
სიკვდილისაგან გადაერჩინა.

მაგრამ რას ვამბობ? ის ცოცხალია —
გენიოსები არა კვდებიან,
მისი იდეა ხორცშესხმულია,
ქვეყნის მშრომელნი ტაშით ხვდებიან.

ო, ლენინ, ლენინ, შენ არ ხარ მკვდარი,
ვერ გაგიმეტებთ ჩვენ საამისოდ,
შენი დიდება და შენი ხსოვნა
ხალხში დარჩება სამარადისოდ.

სერგო ორჯონიკიძეს

რადიომ გვამცნო საშინელება —
შენი სიკვდილი თავზარდამცემი...
ნეტავ რა მოხდა ასე უეცრად,
რამ შეამოკლა სიცოცხლე შენი?

გამოგივლია ბრძოლა სასტიკი,
ბრძოლა მედგარი, ქარიშხლიანი,
და რაც დათესე, უკვე მოვიმკეთ
შენი ნაღვაწი ნაყოფიანი.

შენ ულმობელმა შავმა სიკვდილმა
ჩამოგაშორა პარტიის რიგებს.
შენი დაკარგვით მშრომელ მასებში
ნიაღვარივით ცრემლები იდენს...

გგლოვობს, დაგტირის მშრომელი ხალხი,
მაგრამ ამასთან გეფიცებიან,
რომ განაგრძობენ ლენინის საქმეს
და სალ კლდესავით გამაგრდებიან.

ჯარისკაცის სიმღერა

უძლეველია ჩვენი ქვეყანა,
უძლეველია ჩვენი არმია,
და საყვარელი ჩვენი სამშობლო
დაუჭკნობელი ყვავილნარია.

არ გვსურს ომი და არ გვსურს სისხლისღვრა,
არც რამე გვინდა სხვისგან ნადავლი.
გვიყვარს სამშობლო, ვიცავთ სამშობლოს,
გულში გვიღვივის გრძნობა მაღალი.

წინ ვივლით მუდამ მართალი შრომით,
ჩვენ არ გვჩვევია წუწუნი, დაღლა.
ჩვენი სამშობლოს დიადი დროშა
სულ იფრიალებს მაღლა და მაღლა.

ჩემი სიმღერა

ბარდ-ეკალით სავსე იყო
წინათ ჩვენი სოფელი.
ირგვლივ ანწლით დაფარული,
კაცთა ყრუ სამყოფელი.

ჯაგნარებში გაისმოდა
ღამით მხეცთა ღმუილი,
ღარიბ ქოხში გვაღვიძებდა
მთიდან ქარის ზმუილი.

დღეს აყვავდა, შეიცვალა
ცხრათვალა მზე დაგვნათის.
გულს გვიხარებს ციტრუსით და
ჩაით სავსე კალათი.

დღეს სოფელი მორთულია
ყვავილთ ნაირ-ფერებით.
მანდარინის ძვირფას ხეებს
ბავშვსავით ვეფერებით.

კოლმეურნის ოდასახლში
ელექტრონი ანათებს.
ეს ფიქრადაც არ უნახავთ
ჩვენს წინაპარ მამათლებს.

მაშ გვიყვარდეს ჩვენი ქვეყნის
მარად მწვანე მთა-ველი,
მტერს არასდროს არ დავუთმოთ
თუნდაც ერთი მტკაველი.

ნაზვრა

რა იქნებოდა, ამ ქვეყნის მადლი
ყველას თანაბრად რომ მოფენოდა
და თვალუწვდენი ეს დედამიწა
ყველას საამოდ რომ გახდომოდა!

რა იქნებოდა, ზოგ ადამიანს
სხვისი დაჩაგვრა არ სდომებოდა,
გულის შავ ზრახვებს და საზიანოს
არასდროს არვინ არ გაჰყოლოდა.

მეცნიერება, გამოგონება
კეთილ საქმეებს გამოსდგომოდა,
მტრობა და შური ერთმანეთს შორის
არც ერთ ქვეყანას არა ჰქონოდა!

რა იქნებოდა, რომ ხალხთა შორის
ღალატს ადგილი არ ჰქონებოდა,
თუ ყველა საქმე შინ თუ გარეთა
სიტყვით, უომრად გადაწყდებოდა,

თუ ომისა და სისხლისღვრის ნაცვლად
ქვეყნად მშვიდობა მოვლინდებოდა,
თუ ყველა ხალხს და ქვეყანას შორის
გულწრფელი გრძნობა განმტკიცდებოდა!

ო, მაშინ, ალბათ, მთელ ქვეყანაზე
მართლა სამოთხე შეიქმნებოდა,
ყოველი კუთხე, ყოველი მხარე
ედემის ბაღად გარდიქმნებოდა.

ო, მაშინ როგორ გავიხარებდი,
თუკი ეს ნატვრა ამიხდებოდა,
თუკი ყველა ხალხს ადამიანი
ნამდვილ ძმასავით ეყვარებოდა!

ფრონტზე მყოფ შვილს

ობლობაში გაიზარდე,
შენ არ გახსოვს მამა.
დატანჯულმა, დაჩაგრულმა
დედამ გითხრა ნანა.

ახლა კი ხარ მეომარი,
წინ მიიწევ ფრონტზე,
როგორც -ჩემზე, ისე ფიქრობ
შენს ტკბილ სამშობლოზე.

გრიგოლ გელქანია

- ღ ე ნ ი ნ ს

ზღვა დავხატე, მეტი ხარ,
და მზესაც რომ გადარო,
მზე შენ ჩამოიყვანე,
ჩვენო ბაირაღდარო.

მე სამყაროც დავხატე,
რათა შენ შეგადარო,
მაგრამ არა, შენს ხელებს,
ნებდებოდა სამყარო.

მე კი არა, შენს სიბრძნეს
შოთაც ვერ დახატავდა,
ზღვა რომ მელნად ჰქონოდა
და ცა საწერ ქაღალდად.

საქართველო ბაღი არის

ზამთარშიაც ჩემს მხარეში
დგას დიადი გაზაფხული,
ცა ლურჯი და კრიალაა
ვარსკვლავებით დახატული.

ელავს მთები, დიდი მთები,
დილის ცვარ-ნამ დაფრქვეული,
მოჩხრიალებს ჩანჩქერები
ჭალაკებში ჩამსხვრეული.

ხარობს ჩვენი მთა და ბარი,
ბაღჩა-ბაღი ანთებულა.
ვარსკვლავებად ფორთოხლები
იაგუნდში ჩახვეულა.

საქართველო ზურმუხტია,
ვარდის ბაღი არნახული,
ბაღი, სადაც მზე ანთია
და მუდმივი გაზაფხული.

სიმღერა ზოიაზე

მტერმა რკინის ცხელი შანთით
როდი დაგიყოლია,
რუსო ქალო, კარგო ქალო,
უშიშარო ზოია!

ლეგენდებად ივლის მუდამ
რაც შენ ჩაგიდენია,
ხალხის გულში დაბინავდი,
უკვდავება შენია!

რა პაწიას რა ფოლადის
ნებისყოფა გქონია,
მამულისთვის დაცემულო,
წამებულო ზოია!

ვერ გაგტეხეს, ვერ გაგღუნეს
პაწაწინა, ცქრიალა,

ხალხის გულში დაბინავდი,
სამარეში კი არა.

რა ვეფხვური შემართება,
რა სიმტკიცე გქონია,
ჩემო დაო, კარგო დაო,
პაწაწინა ზოია!

კალისტო რამიშვილი

პეტრეს დრუნცი

პეტრეს ყავდა ერთი ქალი,
გასათხოვი, დიდი დრუნცი,
კოჭლიც იყო, ბრუციანიც,
ნამდვილ ღორს უგავდა დრუნჩი.

თითები აქვს დაჯირკული,
მოგაგონებს თხემლის ეროს,
მნახველები რომ მოდიან,
ალმასივით ბიჭებს წუნობს.

— მე რად მინდა სოფლის კაცი,
ვერ წავყვები ნიკოს, სიკოს,
გენერალი თუ არ მითხოვს,
აფიცერი მაინც იყოს.

პეტრემ უთხრა — შე საწყალო,
ხომ ხედავ რომ ბერდებიო,
აფიცერმა არ გითხოვოს —
არ აგიდგეს გვერდებიო.

— შენ ნუ დარდობ, მამაჩემო,
მომიყვანე აფიცერი,
იმათ მოსწონთ ჩემისთანა
– მსუქანი და თეძო-სქელი.

კარგი, აბა, პეტრემ უთხრა
და შეუდგნენ დიდ მზადებას:
ზოგი დაკვლას, ზოგი ხარშვას,
ზოგი ღომის დამზადებას.

მოიწვიეს სადაც იყო
ბებრები და მონაზვნები.
ამან პირზე შეითხაპნა
რაც პუდრია და მაზები.

გამოაწყვეს კოხტად ტანზე
ფარჩებით და თავზე გაზით,
დააჯინეს, მაგრამ მაინც
ბებრები ჯობს სილამაზით.

მოჰყავთ კიდეც აფიცერი,
რაწკა-რუწკი გააქვს „შპორებს“,

აქეთ მაჯის საათს უცქერს,
მასთან დუხი აგანჭორებს.

მოიყვანეს სასიძო და
დააჯინეს სტოლის თავში,
მაგრამ იგი კარებს უცქერს —
სად გაასწროს, რომელ კარში.

რომ გაძღა და გატკიჩინდა,
წამოდგა და ეძებს ქუდსა,
არც კარგს ამბობს, არც ავს ამბობს,
წასასვლელად აბზეკს ტუჩსა.

პეტრემ უთხრა: — მოგწონს ძმაო?
მისაცემი პატარა აქვს.
მხოლოდ ერთი „მაშინა“ აქვს —
საკერავი მისით გააქვს.

აფიცერმა ეს სიტყვები
თითქოს სულ არ შეიმჩნია.
ბოლოს უთხრა: — ვითხოვ, მარა
ჯერ გულ-მკერდი არ აჩნია.

პეტრემ უთხრა: — ეს მცოდნოდა,
ამდენ ხარჯებს ავცდებოდი,
ან მანამდის რატომ არ თქვი,
სანამ კარგად გაძღებოდი?

ასე ხდება: მარჩიელა
ნარჩიელსაც ვერ პოულობს,
ახლა ქვრივსაც ეხვეწება,
მაგრამ ისიც არ თხოულობს.

სანამ ჯიბეს

ამ სოფელმა ასე იცის:
ხან მაცინებს, ხან მატირებს,
ხან ვარ დილის იადონი,
ხან ცივი ხმით ამაკივლებს.

სანამ ფული მქონდა ჯიბეს,
ვიცინოდი, ვკრეჭდი კბილებს,
ყველა სახელს მიძახოდა, —
ვინ ასწავლათ ეს მაკვირვებს.

ყველა ისე მეპყრობოდა,
როგორც მამა თავის შვილსა,
სელის სკამი სტოლის თავში
შენს კალისტო რამიშვილსა.

მაგრამ როცა საქმე წახდა
და ფულები დამელია,
შემდეგ ყველა კითხულობდა —
ეს ყმაწვილი რომელია?

გამიკვირდა, ამ ქვეყანას
არ მეგონა ჩემი თავი:
გუშინ ყველა თუ მიცნობდა,
დღეს რათა ვარ საკითხავი!

ყველა განზე იხედება,
არც თავს მიკრავს, არც სტოლს მიწყობს,
სელის სკამის მაგიერად
ტაბურეტკა შენს კალისტოს.

კაღანდა გურიაში

სხვისას დაკლეს ტახი,
ჩემსას დაკლეს ბღინკი,
სხვისას ვპრაწავ თვალებს,
სახლში არ მაქვს ხინკი.

ნათლიღება წინდღით
გამატანეს ძღვენი,
მაგრამ ჩემს მასპინძელს
შავად ვუწვთე ფერი.

რომ მივიდა სწორზე,
კიდევ ვზივარ სტოლზე,
სულაც არ ვინძრევი,
როგორც ჯიკვი გორზე.

ვატყობ, ოჯახის ქალს
ბრაზით აკანკალებს,
მე არა და მის ქმარს
უბრიალებს თვალებს.

გოგოს ეუბნება,
— ეს დახვეტე, შვილო!
მე მანიშნა ამით,
კმარა, წადი შინო.

გვეუბნება: მაგ ღვინის სმით
არ მოგივათ ჩინი!
იგიც სახლში წასვლის იყო, —
არ მოგეცეთ ჭირი.

ერთი კვირა რომ გავიდა,
მეუბნება ქეთო:
აკვირინე მომენატრა,
თქვენსკენ წავიდეთო.

მეც ავდექ და დავპატიჟე,
მივადექით კარებს,
მაგრამ აკვირინეს შიშით
ტანში მაკანკალებს.

აკვირინე — ჩემი ცოლი,
შემაცქერდა თვალში,
ახორში ჩუმად გამიხმო,
მაგრად მთქეშა თავში.

მითხრა: — სტუმარს რომ მოიყვან,
უნდა გქონდეს რაცხა!
ახლა რა ვქნათ, რა ვაჭამოთ,
ჩამოხარი ფაცხა!

თურმე ჩვენი ჩხუბი
სტუმრებს გაუგონიათ,
რომ გამოვალთ იქედან,
ყველას დავხოცთ გონიათ.

ამ ჩვენს ძვირფას მოყვრებს,
ამ ჩვენს ძვირფას სტუმრებს,
აუღიათ ხურჯინი და
გაქცეულან თურმე.

დამეკარგა მოყვარე,
აწ იქ ვინღა მიბედავს,
მთელი წელიწადია
იქით არ გამიხედავს.

ბახმარო

კვირკობისთვე მოაწია,
ცოლი გამიუგემურდა,
თურმე იმის მიზეზია,
ბახმაროზე წასვლა უნდა.

სასაქმო სულ დაივიწყა.
თუ მოკიდა რამეს ხელი,
საჭმელს ისე გამიმწუთხებს,
დამწვარი მაქვს ენის წვერი.

აჯიბაჯად იარება,
ვითომ სისუსტე აფერხებს,
წაიქცევა ის ოხერი.
და შარისკენ გაწვდის ფეხებს.

ღამე ძილი გამიმწარა,
ფეხებს ყბაში რომ გამომდებს,
ვწუხვარ, დილის მოსვლას ვნატრობ,
იმას ბახმარო აბოდებს.

რაღას იზამ, — ავხაბაკდით,
სიღარიბეს ვიღან ჩივა,
ვინ კითხულობს — ჩემს ჯიბეში
ფულია თუ თაგვი ჭყივა!

ავედით და დავბინავდით,
სიღარიბეს ვერვინ გვამჩნევს,
ვინ რა იცის რა დღეში ვართ:
სხვები ჭამენ, ჩვენ პირს ვაფჩენთ.

ცოლის დიდი იმედი მაქვს:
კერპია და თავს იწონებს.
გავიყვანე ნაძვნარში და
გავურიე მდიდრის ცოლებს.

ის დავტოვე, მე დავბრუნდი,
რომ ვიშრომო, ვიოჯახო,
მოვუყარო სურსათს თავი,
ავიდე და ისევ ვნახო.

რომ ავედი, კარგად დამხვდა,
როგორც შეეფერებოდა,
მხოლოდ ტყეში დავეცი —
ტუჩი დანაღველებოდა.

თუმცა ძლიერ დავიხარჯე,
მოგებული მაინც დავრჩი:
ქალი გამოჯობინდა და
შეეძინა სალი ბავშვი.

რაღას ვერჩი ჩემს ცოლს ახლა,
ბავშვი გვყავს და სხვა რა გვინდა,
რა ვუყოთ რომ წასვლის დღიდან
მეათე თვეს დალოგინდა.

ამას კიდევ ავიტანდი,
გული მტკივა ერთ რამეში:
ბავშვი მეტად თეთრია და
მე სულ არ მგავს სიშავეში.

ცხრა მუშა და ოცი გამგე

გადავწყვიტე, ერთ მშვენიერ
დღეს მომეწყო ექსკურსია,
გამეგო, თუ სად რა ხდება,
შემედგინა მათი სია...

გავიბერტყე სახლის მტვერი
და გავედი შარა-გზაზე,
ხურჯინი და საწყლე კვახი
გადვიკიდე ღლიავ-მხარზე.

ერთ ქარხანას მივადექი,
არც კი მქონდა გაგებული,
რაკი ძველის ნანგრევებზე
ახლად იყო აგებული.

მიველ მაშინ, როცა ხალხი
წასულიყო შვადღის ზარზე,
ქარხანა სულ გაცლილიყო,
დარაჯი დგას მხოლოდ კარზე.

დაჰკრეს ზარი, მოდის ხალხი,
ზოგი ხვნეშის, ზოგი ქშინავს.
მოდის, მაგრამ ამათ შორის
პორტფელები მეტს უჭირავს.

ვკითხე დარაჯს: — ეს ვინ არის?
— დირექტორი, ამხანაგო!
ეს ქარხანა რომ აშენდა,
მან ითავა, მან ააგო.

— ეს მეორე ვინღა არის?
— ესეც გამგე, ამხანაგო!
ეს ქარხანა რომ აშენდა,
ხე-ტყის საქმე მან განაგო.

— ეს მესამე ვინღა არის?
— ესეც გამგე, ამხანაგო!
ეს ქარხანა რომ აშენდა,
ხრეშის საქმე მან განაგო.

— ეს მსუქანი ვინღა არის?
— ესეც გამგე, ამხანაგო!
ეს ქარხანა რომ აშენდა,
ჭამის საქმე მან განაგო.

კაცი გამგე, ქალი გამგე,
პეტრე, პავლე და კატუშა —
ვინც ვიკითხე, გამგეაო
და მე დავრჩი მარტო მუშა.

დავფიქრდი და უნებურად
შემიცინდა ტუჩი-ბაგე:
ანგარიშით გამოვიდა
ცხრა მუშა და ოცი გამგე!

ივანეს ამბავი

ამხანაგი ივანე
მეტისმეტად თავს უვლის,
სულ ზარმაცობს შინ და გარეთ.
სამუშაოს გვერდს უვლის.

შუადღეზე წამოდგება,
შემდეგ თვალებს იჟღლიმება,
გამოიდებს გუთანს მხარზე
და სახნისი სახლში რჩება.

საყვედური თუ უთხარი,
შენზე მეტად თვითონ ჯავრობს:
— უსინდისო კაცი ვიყო,
ჯერ საუზმე თუ მეჭამოს!

ერთხელ, გვიან რომ მივიდა,
ასე უთხრა თავმჯდომარეს:
— ავათა ვარ, ამხანაგო,
მაფხანიებს მთელი ღამე.

— მაგას ველარ დაგიჯერებ,
ეუბნება თავმჯდომარე. —
აბა წადი ექიმებთან
და დასტური მომიტანე.

რომ მივიდა ექიმებთან,
კითხეს, ავად რით ხარო,
— გვერდი მქავა, ბატონო, და
მთელი ღამე ვიფხანო.

ექიმებმა უპასუხეს:
თუ ასეა, ივანეო,
მაშინ დღისით იმუშავე,
გვერდი ღამე იფხანეო.

ქეღეხი გურიაში

ახლაც მახსოვს ეს ამბავი:
ცხრა ძმას ყავდა ერთი დედა.
ასოცი წლის რომ შეიქნა,
გარდიცვალა, რომ დაბერდა.

სიცოცხლეში შვილებისგან
არ ქონია ყურადღება,
სიკვდილისას დიეტაზე
ცივი მჭადით ქონდა კვება.

ეს შვილებმა იგულისხმეს —
დედის ასე დრო გავლილი
და, იცოცხლეთ, მიცვალებულს
დააყარეს პურ-მარილი.

პური, ღვინო, მჭადი, ყველი
ბლომად იყო შეძენილი,
ლობიო სქელი, ლობიო თხელი,
ლობიო ნიგვზით შეზელილი.

გააჩაღეს სუფრა და, ჯერ
დააჟინეს შორებლები,
მერე ძროხის მოზიარე
თუ სხვა ასე ახლობლები.

შემოაღამდა თამადას,
სადღეგრძელოს ძლივს ამთავრებს...
მაგრამ ახლა რას უშვები,
შინაურ ხალხს რომ ამთქნარებს!

როგორც იყო, გამთენიეს
დაჯდა ყველა დანარჩენი.
მეორე დღეს საღამომდი
ეყოთ დღისით მონარჩენი.

მესამე დღეს დასაწოლად
რომ შეაღეს სახლის კარი,
შეხედეს, რომ იმ ლოგინზე
ასვენია ისევ მკვდარი.

— უი! — რძლები იძახიან, —
დაგვეყაროს გულზე მიწა!

ნეტავ მკვდარი მობრუნდა თუ
გასვენება დაგვავიწყდა!

შვილები კი დასტირიან:
— არ გქონია, დედი, ბედი!
სიცოცხლეში არ გვახსოვდი,
აღარც მკვდარი გაგვახსენდი!

ისიდორე მოისწრაფეშვილი

ზ ე რ ა
(იგავ-არაკი)

მონადირემ ერთხელ ტყეში
დაიჭირა ტურა,
ლეკვი იყო, გამოზარდა,
მოაშინაურა.

როცა ძაღლი დაიყეფდა,
აჰყვებოდა ისიც,
მასთან იყო განუყრელად
ღამითა და დღისით.

და რატომღაც მონადირეს,
სჯეროდა და სწამდა,
რომ მის ოჯახს ძაღლი არა —
იგი ტურა ცავდა.

მონადირეს უხაროდა,
ცოლსაც უხაროდა,
რომ ამ მხეცმა შეიყვარა,
საქათმე და ოდა.

ჰოდა სრულად ჩააბარეს,
ეს სახლი და კარი,
იხვი, ბატი და ქათამი,
თხა, კრავი და ცხვარი.

ძაღლს მასპინძლის არ მოსწონდა
ეს ნაბიჯი მცდარი
და გარ-გარე დადიოდა
როგორც გადამდგარი.

გადის კვირა, ორი, სამი,
არ გასულა წელი,
რომ ნელ-ნელა განიავდა
ის დოვლათი ძველი:

ტურამ ტურებს შეასწავლა
ეზოს მისასვლელი,
ტურა გახდა სტუმარი და
ტურა —,მასპინძელი.

გავბრიყვდიო, თავში ხელი
შემოიკრა კაცმა,
თურმე ტურა ტურად რჩება,
ვერ უშველის გაწვრთნა.

ბედნიერი დრო დაგვიდგა

შემოვძახოთ სიმღერები
ჩვენი ხალხის დღეგრძელების,
დიდება და გამარჯვება
ამ მთების და ამ ველების.

ბედნიერი დრო მოვიდა,
კომუნიზმის დადგა ხანა,
კოლექტივის განმტკიცებით
აყვავდა ჩვენი ქვეყანა.

აღარა გვყავს მუქთახორა,
მძარცველი და მაწანწალა,
ერთად ვშრომობთ კოლექტივში,
ერთობაში არის ძალა.

ეგნატე ნინოშვილს

(იუბილეზე თქმული)

ადექ, ეგნატე, და გადახედე
საბჭოთა ხალხებს დიდხანს ნაწვალებს.
არ შვენის ასე ხანგრძლივი ძილი
შენს გრძნობას, ნიჭს და
შორსმჭვრეტელ თვალებს.

აბა შეხედე ქვეყანას ახლა:
შენს შეშდეგ მოხდა ბევრი ცვლილება,
ხალხმა დაამხო მტარვალის ტახტი
და მოიპოვა თავისუფლება.

ბევრი იმსხვერპლა რევოლუციამ,
სისხლმა შეღება მთები და ველი,
ახალი წესი დამყარდა ყველგან,
სრულად მოისპო მონობა ძველი.

შენ არ გეღირსა, რომ სიტყვა გეთქვა
ასე აშკარა, თავისუფალი,
ამ ბედნიერი, ბრწყინვალე დღისთვის
ცოტახანს მაინც შეგევლო თვალი.

შენ ვერ მოესწარ წითელდროშოვან
საბჭოეთის ხალხს და არემარეს,
ვერც იმას ხედავ, თუ ხალხი როგორ
ლოცავს შენს საფლავს და ქოხის კარებს.

შენი სახელი მუდამ იცოცხლებს,
ასე ვგულისხმობთ — არა ხარ მკვდარი,
შენ აგვიწერე, როგორ გავმართოთ
ხალხთა მჩაგვრელთან ბრძოლა მედგარი.

აღსრულდა რასაც გულით ნატრობდი,
ხარობს ხალხების სული და გული,
შენი სახელი, შენი ამაგი
მუდამ იქნება მოგონებული.

უწინ და ახლა

მეფის დროში. ვიყავი
ბედით განაწირი მე,
ბატონის წინ ვხოხავდი
როზგით ანატირი მე,

დღით და ღამით ვშრომობდი
და არ მქონდა ძილი მე,
ნაშრომი სხვებს მიჰქონდა
მტანჯავდა შიმშილი მე,

სიტყვის ნებაც არ მქონდა,
რომ გამეღო პირი მე,
მაგრამ მალე მეღირსა
საქმე გასაკვირი მე:

ჩაგრულმა გაიმარჯვა,
ვიცინი, არ ვტირი მე,
წინათ მონად ყოფილსა
სახელი მაქვს ძვირი მე.

მეფის დროში არ მქონდა,
ჩაი ერთი ძირი მე,
დღეს კი ბაღებს ვპატრონობ,
ციტრუსების ჭირიმე.

პურ-მარილი ბევრი მაქვს.
არ მაქვს გასაჭირი მე,
ორდენებსაც ვატარებ,
სახელი მაქვს ძვირი მე.
გაუმარჯოს კოლექტივს,
კოლექტივის ჭირიმე.

სიმღერა გამარჯვებისა

ჩვენი გაელეტის მდომი
მოვსპეთ და გავატიალეთ,
ჩვენ გამარჯვების დროშა
ბერლინში ავაფრიალეთ.

იხარე, ჩვენო ქვეყანავ,
დღე გაგვითენდა შვებისა,
საზარი მტრების დამხობის
და ჩვენი გამარჯვებისა.

საბჭოთა ქვეყნის მებრძოლებს
ვერავინ შეეჭიდება,
მუდამ იყო და იქნება
ჩვენი სამშობლოს დიდება.

პარტიის წინამძღოლობით
ჩვენ გავიმარჯვებთ ყველგანა,
ხარობს და ჰყვავის დღეს ჩვენი
გამარჯვებული ქვეყანა.

საჯრეზოს

სარტფოვ, რატომ გამწირე,
სხვაზე რატომ გამცვალე?
როგორ გავძლო უშენოდ,
რა ვქნა, შენ გენაცვალე?

რად ამინთე იმედი,
ეს რა ცეცხლში ჩამაგდე,
ცრემლი და უძილობა
არ ვიცოდი მანამდე.

როგორ მეფიცებოდი!
გავიხსენებ — ვლონდები,
ახლა, ვიცი, სხვა გიყვარს
და მე არ გაგონდები.

მაგრამ მაინც მე შენი
ტრფობის თასი დავცალე,
შენ კი — ვისზეც გამცვალე,
გყავდეს, შენ გენაცვალე!

მომღერალთა პაექრობა

(მეგობრული)

ერქომაიშვილი ამბობს:
თავს ნურავინ მადარებო,
საქართველოს მომღერლებში,
პირველობას ვატარებო.

ალექსანდრემ არტემს უთხრა:
რა თქვი ეს საკვირველიო,
აჭარაში შენს მოსვლამდი
ჩვენ ვიყავით პირველიო.

ყველა ლოტბარები იყვნენ —
მამაჩემი, ბიძებიო,
დიდად სახელგანთქმული ვართ
გვარად ანანიძენიო.

მას კი წინიძემ მოსწერა —
მობრძანდი, გამიცანიო,
ბათუმში რომ დამაკერეს,
ჯილდოდ ოქროს ნიშანიო.

კრიმანჭულები კარგი მყავს,
მოძახილი, თუ ბანიო,
აჭარაში სხვებზე უფრო,
პირველობს ხუცუბანიო.

ილიკომ სთქვა:
რისთვის იცით ასეთი ლაპარაკიო,
თუ ვერ დაგრჩდილოთ,
მოგიკვდეს ილია ხომერიკიო.

მრავალჯერ აგიტეხიათ
ჩემთვის აყალმაყალიო,
მაგრამ სუყველას გაჯობებს
ჩემი გუნდი ახალიო.

ახმედმა დინჯად წარმოთქვა:
ჩემი შრომა დიდიაო,
ღირსი ვარ და ამიტომაც,
მკერდზე ჯილდო მკიდიაო.

კოლექტივში გუნდები მყავს,
გამართული მაქვს წელიო,

ღირსებით ყველას გჯობივართ,
ახმედ ნოღაიდელიო.

ხულოდან ცნობა მოვიდა,
არც ერთი არ ხართ სწორიო,
ორდენოსანს თუ იკითხავთ,
ჯიბლაძე ვარ ნესტორიო,

მეორე ჯილდო მაკუთვნეს,
ასეთი იყო წესიო,
აჭარაში არავის ჰყავს
ჩემს გუნდზე უკეთესიო.

სადრაძემ თქვა:
მე მეკუთვნის,
ოქროს ჯილდო მედალიო,
რადგან ჩონგურის დაკვრაში
კაცი არ მყავს ბადალიო,

ჩემს საქმეს სხვა ვერვინ შესძლებს,
არ გეგონოთ ადვილიო,
ჩვენს ბიჭებში მე მეკუთვნის,
მოწინავე ადგილიო.

ხუსიამ თქვა:
ვინც მაჯობებს,
ყველას ვენაცვალებიო,
ვიღას გამოვედავები,
როცა არ მაქვს თვალებიო,

ვაჟკაცი მაშინ ვიყავი,
როცა არ მქონდა ნაკლიო,
ყაჩაღ სისონა დარჩიას
ვიყავი ამხანაგიო.

მოისწრაფიშვილი ამბობს:
ჩემთვის ვარ, ნუ მაწუხებთო,
თუ ოდესმე დამჭირდება,
მაშინ მეც გიპასუხებთო,

არას ვიტყვი, რაღა მეთქმის,
სუყველანი კარგი ხართო,
ესტრადას კი, სულერთია,
ჩემებრ ვრვინ არგიხართო.

სტეფანე ჩახალაშვილი

გაზაფხული

მოდის, მოდის გაზაფხული,
ხარობს ვარდი, ხარობს ია,
ბაღს ეწვია დღეს ბულბული —
ეს ხმატკბილი ჩიტუნია.

კოლექტივი გუთანს მართავს
და ყანაში მიაქვს თესლი,
ჩემ ოთხმოც წელს არ მოსწრია
გაზაფხული უკეთესი..

ზურაბ ნაგერვაძე

ოქტომბრის დილა

რა მოელვარე, რა კაშკაშა
დილა თენდება, —
ეს ჩაუმქრალი,
საოქტომბრო განთიადია.
გაჩირაღდნებულ არემარეს
შევხარი გულით,
ოქტომბრის დილა რა კარგია,
რა დიადია!

ტურფა სამოსი შეუკერავს
მშობლიურ მთა-ბარს,
ირგვლივ დროშები ყაყაჩოსებრ
წითლად ინთება,
ისმის სიმღერა მოგუგუნე,
ომახიანი:
— ჩვენს გმირ სამშობლოს
და პარტიას ვაშა, დიდება!

რა მოელვარე, რა კაშკაშა
დილა თენდება, —
ეს ჩაუმქრალი,
საოქტომბრო განთიადია.
გაჩირაღდნებულ არემარეს
შევხარი გულით,
ოქტომბრის დილა რა კარგია,
რა დიადია!

ხასან მახარაძე

შრომის გმირებს

სახელი და დიდება გაქვთ
შრომაში მოპოვებული,
სიმინდის და ფორთოხალის
კალო დაგიდგამთ მთებური.

თქვენი დიდი წარმატება
ხალისს გვმატებს, გულს გვიხარებს.
მიხარია, მეზობელი
გმირის ვარსკვლავს რომ ატარებს.

თქვენ მშვიდობას შრომით იცავთ,
მტკიცე არის თქვენი ნება,
ჩემს ჩონგურსაც თქვენი ქება
არასდროს არ მოსწყინდება.

შაქრო ხოფერია

დედის ნუგეში

ქარიშხალია ჯერ არნახული,
მისი გრიალით მიწაც ზანზარებს.
ბუხარში ცეცხლი ღვივის, გიზგიზებს,
ეალერსება დედა პატარებს.

შვილები სწუხან, რომ ვერ ხედავენ
საკუთარ დედის მხიარულ თვალებს,
დედა მათთან ზის სახემწუხარი,
ეტყობა რაღაც ფიქრი აწვალებს,

— მამა სად არის? — კითხავს უფროსი,
ჩუმი, ნაღველი თვალებს უნამავს.
— ახლავე მოვა! — ამბობს უმცროსი, —
კარს შემოაღებს საცაა მამა.
არა, დედიკო?
— ჰო, აგრე, შვილო, — დედა ვერ უძლებს
და სახეს მალავს!

არვინ იძახის, კარს არვინ აღებს,
ლოდინს ქარიშხლის ხმაური ფარავს.

დედას ეხვევა უმცროსი გოგო,
თვალებს უკოცნის, ემუდარება:
— მამა დამპირდა, ლენტს მოგიტანო...
მითხარ, თუ მოვა, მე მეჩქარება.

რად მომატყუა, რატომ არა ჩანს,
რატომ არ მოდის, არ გვეკარება.
შენ გააჯავრე, დედიკო, იქნებ,
მას არ უყვარდა დაგვიანება!..

აცრემლდა დედაც... ვეღარ გაუძლო!
მან კი იცოდა, სად ყავდა ქმარი!
შვილებს კი მაინც ნუგეშს აძლევდა:
— შორს არ წასულა, სულ ახლოს არი.

ლენტი გიყიდა, ფეხსაცმელს ეძებს...
თქვენ ოღონდ უნდა დახვდეთ მძინარი.
როცა ადგებით, თავსასთუმალთან
დაგხვდებათ მამის თქვენ საჩუქარი.

— დედიკო, მუდამ ასე მატყუებ! —
პატარებს გული არ უცხრებოდა...
ელოდა ბავშვი, ელოდა დედაც,
და ბუხარს ცეცხლი არ უქრებოდა.

ცეცხლის გიზგიზში შვილებთან ერთად
დარდიან დედას ჩასძინებოდა...
გარეთ კი თოვდა და ამ თოვნაში
მამა ფაშისტებს ერკინებოდა.

ხახან ხაგაძე

მეზობელ კოლმეურნეს

ჩემო კარის მეზობელო,
ერთად გაგვაქვს შრომის ლელო.
შენი ოდა, ჩემი ოდა
წამოდგმულა მთაზე კოხტად.

შენი ბაღი, ჩემი ბაღი
ავ თვალს არ დაენახება.
განა მარტო მანდარინმა?
გაიხარეს ვენახებმაც.

კვიცი მუდამ გვარზე ხტისო,
ეს ანდაზა შენც ხომ გახსოვს.
გამრჯე კაცის შვილი ხარ და
შენი გარჯაც კარგად ფასობს.

ოჯახი გაქვს ბედნიერი,
სულ ღია გაქვს გულის კარი
და ულევი ხვავით გავსებს
კოლექტივში მონაგარი.

ორივეს ხომ ერთი გზა გვაქვს,
ორნივ ერთი საქმით ვიწვით,
კომუნიზმშიც ერთად შევალთ,
აღარ უნდა. ამას ფიცი.

ჩვენ ერთი გვაქვს შრომაც, ლხინიც
წაშლილია ყველა მიჯნა.
უკეთესი რა მოგიძღვნა,
ლექსს გიგზავნი ძმობის ნიშნად.

მხედრული

ამოქუქუნდი, ვარსკვლავო,
ამოიყოლე მთვარეო,
გამიჩირაღდნე სხივებით
ჩემი მშობელი მხარეო.

მე ცხენოსანი გახლავარ
ხელში მიჭირავს ხმალიო,
პირდაპირ წავალ იქითკენ,
სადაც რომ მტერი არიო.

ისე გავუხდი საქმესა,
სდიოდეს ცრემლის ღვარიო,
თავისი ხელით გათხაროს
თვისი სამარის კარიო.

გაგყდა მგერი მკვეხარა

გატყდა მტერი მკვეხარა,
აწ იხარებს ველარა,
აქ ზეიმი ეწადა,
სიკვდილს გადაეყარა.

განადგურდა საზარი
მხეცი უზარმაზარი,
ვინაც ხალხი აწამა,
სისხლით მორწყო მთა-ბარი.

ჩვენს ხალხს — გმირს და გოლიათს
მტერი ბევრი ჰყოლია,
მაგრამ დაუძლევია,
ცეცხლში გადუსროლია.

ანგელინა კვაჭანტირაძე

აჭარელ ქალს

წინათ შენს სახეს
დაწყევლილი ჩადრი ფარავდა,
ჩადრში ქრებოდა
მშვენიერი შენი ღიმილი.
გენატრებოდა სიმღერა და
ცეკვა თამამად,
არვის ესმოდა
შენი ოხვრა, გულისტკივილი.

დღეს ჩადრთან ერთად
მოიშორე ცხოვრება ბნელი,
ბედნიერ ოჯახს შეჰხარი
და თავზე ევლები.
ირგვლივ ციტრუსებს,
ჩაის ბუჩქებს შესცქერი ლხენით,
მათ დაფუსფუსებს
მუდამ გამრჯე შენი ხელები.

გშვენის ორდენი,
სანაქებო შრომით რომ ჰპოვე,
გახდი ყველასთვის
საყვარელი, სათაყვანები.
ძველ ადათ-წესებს
სამუდამოდ გამოეთხოვე,
გამარჯვებული წინ
ამაყად მიემართები.

დავით ლორია

შრომის ფერხული

გახედე მინდვრებს, გახედე სერებს,
ყველგან გმირული შრომის კვალია,
ნავენახარზე ვენახი ხარობს,
ჩაის ხავერდი ქედებს ავლია.

დაუღალავად შრომობს ცხმორისი,
აქეთ ძენწმანი და მახუნცეთი,
უხვი მოსავლის საძირკველს სჭედენ
და პირველობას არ თმობს არც ერთი.

ახოში შრომობს მეთამბაქოე,
სხვებს რომ აჯობოს მასაც სწყურია:
ქართული ღვინო მამა-პაპური
ვარჯანისელ გმირს დაუწურია.

შრომის ფერხულმა ამიყოლია,
მეც ამ სიხარულს ავედევნები,

მადლიან შრომას ხალისით მოაქვს
წონიარისში ვაზის მტევნები.

გაშლილ მინდვრებში, ყანებში, ზვრებში,
ხმაშეწყობილი ჰანგით მღერიან,
გამარჯვებული ხალხის დროშაზე
კომუნიზმისკენ წინსვლა წერია.

ტუფა ჩხიკვაძე

რვა მარჯი

საქართველოს ბაღს და მდელოს
აბიბინებს ქარი,
სიხარულით ხვდება ზეიმს
ბედნიერი ქალი.

ის არ არის დაჩაგრული,
კარებჩაკეტილი,
ტუჩზე ღიმი დასთამაშებს,
ყველგან გზა აქვს ხსნილი.

ჰურიე კონცელიძეს

აჭარის მთებში აღზრდილო გმირო,
შენ გვასახელე მთელი აჭარა,
შენმა სახელმა ჩვენს ქვეყანაში
ყოველი კუთხე შემოიარა.

სოციალისტურ შრომის გმირი ხარ,
დაიმსახურე დიდი სახელი,
შენ სიყვარულით გულში გვიზიხარ
სახელოვანი კომკავშირელი.

თავზე ევლები ციტრუსთ ნარგავებს,
როგორც მშობელი საყვარელ პირმშოს,
შენი დანახვით ჩაის ფოთოლიც
იღიმება და იფურჩქვნის თითქოს...

ასლან დადიანი

ლენინს

შენმა სიტყვებმა ფრთები შეისხა,
შენ რაც თქვი, ლენინ, ყველა სრულდება.
შენ მოგვანიჭე რაც გვინატრია —
შრომის, სიცოცხლის თავისუფლება.

სახე იცვალა ჩვენმა ქვეყანამ,
ჩვენთვის წმიდაა რაც გვიანდერძე,
შენი სახელით ჰესებს ვაშენებთ
ჯახოვკაში თუ ვოლგაზე, დნეპრზე.

შენი სახელი ჰქვია ნათურებს,
ამიტომ გულშიც შეაქვს სინათლე,
შენ დაგვიმკვიდრე ბედნიერება,
შენ დაგვიმკვიდრე მზე და სიმართლე.

უკრაინელ მეგობრებს

აქ ლესია ლექსებს თხზავდა,
იქ დავითი — „დავითიანს“,
ისე თვლიდნენ ქართველ პოეტს,
როგორც შვილს და თავისიანს.

თქვენთვის შვილი გაუზრდია
ქართველ დედას მანდილოსანს.
ხმლით და კალმით უბრძოლია
სახელოვან ჩვენს დიდ მგოსანს.

დრომ წაიღო ოხვრა, კვნესა,
მაშინ მშრომელ ხალხს რომ ერგო,
ხალხის ბედზე არ მოთქვამენ
დღეს აკაკი და შევჩენკო.

თქვენ თუ სისხლით იცლებოდით,
მტრები წვავდნენ თქვენს ქვეყანას,
აქაც იყო უბედობა —
საგურამოს, ლამისყანას.

სად ლესია ლექსებს თხზავდა
ან დავითი და კობზარი,
დღეს ქართველს და უკრაინელს,
ძალას აწვდის კრემლის ზარი.

უცნობი ავტორები

სიმღერა ვენახზე

ჩაღმა ჩაყრილო ვენახო,
გეძებდი აღმა მავალი,
ჩემო გაზრდილო ვენახო,
მტერი' გჩეხავდა მრავალი.

მაგრამ 'მოგნახე, გაცოცხლდი
'და აგეხილა 'თვალები,
ქარვის მტევ'ნები დაისხი,
შენს ძირ-ფესვს ვენაცვალები.

გურული ნანა

ბიჭიკო ჩემო ნენაო,
გაიგე ჩემი ენაო,
გაიზარდე, დავჟაკაცდი,
შეიძელ ჩემი რჩენაო.

შვილო, ქალს მოგგვრი ლამაზსო,
მზითვად მოგცემენ ფარასო,
თითზე ბეჭდებს წამოიცვამ,
წელზე შეირტყამ ქამარსო.

მაგრამ რომ მოვკვდე, ნენაო,
გამწიე საყდრისკენაო,
გულს მიწა გადამაყარე,
იწყე. ცრემლების დენაო.

ორმოცი დღეი მიგლოვე,
შემდეგ დაიწყე ლხენაო,
ხანდახან მეც მომიგონე
არ დამივიწყო, ნენაო.

ხბოს ღეჭსი

პარასკევ ღამეს მესიზმრა,
ვითომ დამსეოდა ხროი,
ორშაბათ დილა გათენდა,
ქე მომიკვდა ჩემი ხბოი.

უბედურო ჩემო ხბოო,
მერჩიე აღდგომის კვერცხსა,
შენ რომ მომიკვდი, მომშორდი,
სულ ვიტირე მე იმ დღესა.

უშენოდ ძროხას ვერ მოვწველ,
სულ არ ჩამოუშვებს რძესა,
დერგში ყველი დამელია,
რაღა მივაჭამო კვერსა.

დიდზე უფრო პატივს გცემდი,
რისთვის მიქენი უბრობა,

დამიწუნე პურ-მარილი,
არ შეგშვენის ეს ხუმრობა.

ტანადობა დიდი გქონდა,
როგორც არის აქლემები,
რაცხამ შენ არ წაგაყენა
ჩვენი სოფლის ექიმები.

ფერად წითელი იყავი,
სახელად გერქვა არიფა,
დაგასიე დოხტურები,
შენი მორჩენა არ იქნა.

შენსა ჩემგან მოშორებას,
მე ვაბრალებ სიკვდილს უცებს,
შენთან ლოცვა არ გავიდა,
ვაწირვიე-კიდეც ხუცესს.

ჭამაზე სუსტი იყავი,
არ მოწეკვდი გლახა ფურცელს,
ცოტა ბალახს მოწიწკნიდი,
წამოგიბერავდა მუცელს.

ისე ძალიან მიყვარდი,
არ გაგცვლიდი მთელ ფარაზე.
არ მიიღე პატივცემა,
თავი გადადევ ზარალზე.

მეც იმიტომ გაგიმეტე,
გადაგათრიე შარაზე,
მეორე დღეს გინახულე,
ტურას ეკბინა ბარკალზე.

კიდევ კარგი გული მქონდა,
ოთხი მრჩებოდა ბალახზე.
გაზაფხულზე ოთხი მყავდა,
ერთი არ ჩამყვა ზამთარზე.

დარჩა ხბოი უბედური,
მომცა ზარალი ზარალზე:
ხბოი ტურამ შემიჭამა,
ძროხა მგელს შეხვდა შარაზე...

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ძირში — ნედლი,
შუაზე — ხმელი,
წვერო აქვს აყვავებული.
(მიწა, ჰაერი, ვარსკვლავები)

ბახჩაშია ბეღელი,
რკინით გასაღებელი.

(კვახი)

მიდის, მოდის,
იქვე დგას.

(კარი)

დაწერს, დაწერს —
მღვდელი არაა,
ხეზე გავა —
კაცი არაა,
რქები აქვს და —
ხარი არაა.

(ლოკოკინა)

კატა კუდით ჰკიდია.

(ტაფა)

წავა ყეფს, ყეფს,
მოვა კართან ეყუდება.

(ნაჯახი)

თეთრკაბიანი ნაყავს,
წითლიანი — ურევს.

(კბილები და ენა)

ოჯახში ვარ —
არ მაქვს ფასი,
ვერ მშორდება
ვერა კაცი.

(ცეცხლი)

აკეთებს — მისთვის არ უნდა,
ყიდულობს — მისთვის არ უნდა,
რომ უნდა, მანაც არ იცის,
უნდა თუ მართლაც არ უნდა.

(კუბო)

მუცლით ჭამს და
ზურგით ჰყრის,
აბა თქვას მან,
ვინც იცის.

(შალაშინი)

ცოცხალია ბალახსა სძოვს,
მოკვდება და ღვინოსა სვამს.

(გუდა)

ერთი დედა შობს შვილებსა,
დიდებს, პატარებს, წვრილებსა.
გაზრდის და თვითონვე შეჭამს,
კიდევ ილესავს კბილებსა.

(დედამიწა)

ერთი სტუმარი მესტუმრა
მიდღემჩი უსტუმრებელი.
ერთი საჭმელი მივართვი,
სუფრაზე დაუდებელი.

(ჩვილი ბავშვი)

ერთ ასახსნელს მოგახსენებ,
ახსნა გაგიჭირდება.
აბა, რა არის ისეთი —
რაც ყველაფერს სჭირდება.

(სახელი)

მამაკაცი ვიყავი,
დედაკაცად მაქციეს,
ჩემი შვილი არ მყავდა,
სხვისი გამომაზრდიეს.

(ყვერული)

ერთი რამე სულიერი
მიადგება კლდესა,
სასიკვდილოდ პირს დააღებს,
ეხვეწება ღმერთსა.

(აბრეშუმის ჭია)

ორმო ბნელი,
შით მოზვერი,
ძნელი მოსაბრუნებელი.

(ხანჯალი - ქარქაშში)

დედა დაგრეხილი,
მამა დაჭყლეტილი,
შვილი გადარეული.
(ვენახი, ყურძენი, ღვინო)

ხორცის შამფურზე
რკინის მწვადია.
(ბეჭედი თითზე)

პაწაა და ყურიანი,
უკუდო, ხან კუდიანი.
(ნემსი და ძაფი)

ქვეყანას გადაწვდა,
ჭურის თავს — არა.
(ფული)

მინდორს წაველ უფეხოთ,
ხეი იდგა უფესვოთ,
ზედ ჩიტი იჯდა უფრთოთ,
მოვკალ უთოფოთ,
შევწვი უცეცხლოთ,
შევჭამე უპუროთ.
(ტყუილი)

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
გამომცემლობისაგან	3
თოფია ქათამაძე	
ლენინის ხსოვნას	7
პირველი მაისი	8
საკოლმეურნეო სიმღერა	9
სატრფიალო	10
ამბავი დაქორწილებული ვაჟისა	11
ილია თალაკვაძე	
საშშობლო გვეძახის	14
მშვიდობა გვინდა	16
ჩინელ სტუმრებს	18
ინდოეთს	20
შემოდგომა აჭარაში	22
მტირალას მთაზე	24
ბახვისწყალი	25
ტყე ხალხის მეგობარია	27
ვაშალომიძის გმირობა	28
მამია თანდილავა	
ჩემი სოფელი	30
სარფი	31
შრომის გმირი	32
***	33
ზურაბ ბერიძე	
მე პარტია მზრდის	34
მევენახე გოგონა	35
გაზაფხულია	36
ჩაის ბუჩქებთან გიხილე	37
ზამთრის ღამე	38

ალექსანდრე ანანიძე
მშვიდობის წელი 39
საბჭოთა აპარა 40
ხმას ვაძლევთ 41
ჩადრიან ქალს 42
მახინჯაური 43
ბინალი ფუტკარაძე
მშვიდობისათვის 44
კომუნიზმი გაიმარჯვებს 45
საქართველო 46
ვერა ბერეჟიანი
ლენინ 47
სერგო ორჯონიკიძეს 48
ჯარისკაცის სიმღერა 49
ჩემი სიმღერა 50
ნატვრა 52
ფრონტზე მყოფ შვილს 54
გრიგოლ ბელქანია
ლენინს 55
საქართველო ბაღი არის 56
სიმღერა ზოიაზე 57
კალისტო რამიშვილი
პეტრეს დრუნცი 59
სანამ ჯიბეს 63
კალანდა გურიაში 65
ბახმარო 68
ცხრა მუშა და ოცი გამგე 71
ივანეს ამბავი 74
ქელეხი გურიაში 76
ისიდორე მოისწრაფეშვილი
ტურა (იგავ-არაკი) 79
ბედნიერი დრო დაგვიდგა 81
ეგნატე ნინოშვილს (იუბილეზე თქმული) 82
უწინ და ახლა 84
სიმღერა გამარჯვებისა 86

სატრფოს 87
მომღერალთა პაექრობა 88
სტეფანე ჩახალაშვილი
გაზაფხული 92
ზურაბ ნაგერვაძე
ოქტომბრის დილა 93
ხ. მახარაძე
შრომის გმირებს 95
შაქრო ხოფერია
დედის ნუგეში 96
ხასან ხაბაძე
მეზობელ კოლმეურნეს 99
დუშა გოგიჩაიშვილი
მხედრული . 101
გატყდა მტერი მკვეხარა 102
ანგელინა კვაქანტირაძე
აპარელ ქალს 103
დავით ლორია
შრომის ფერხული . 105
ტუფა ჩხიკვაძე
რვა მარტი . 107
ჰურიე კონცელიძეს 108
ასლან დადიანი
ლენინს . 109
უკრაინელ მეგობრებს 110
უცნობი ავტორები
სიმღერა ვენახზე 111
(ჩაწეოილია ქედაში ბ. კუნკულიას მიერ).
გურული ნანა 112
(ჩაწერილია ი. მოისწრაფეშვილის მიერ).
ხბოს ლექსი 113
(ჩაწერილია დ. მსხალაძის მიერ).
გამოცანები 116
(შედგენილია შ. ნიჟარაძის მიერ).